ხელშეკრულება № 02-03 / 154
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 1 ივლისი 2019 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე–2 თავის, მე-10[1] მუხლის, მე-3 პუნქტის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული ,,გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის ,,ა“ პუნქტის შესაბამისად, ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრივ ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“ (შემდგომში _ შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის გოჩა ბერიძის სახით და მეორეს მხრივ, შპს ,,ინჟინერი” წარმოდგენილი მისი დირექტორის ბადრი ცივაძის სახით (შემდგომში – მიმწოდებელი), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“–ს მიერ 2019 წლის სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შესაბამისად, აჭარის არ ბიუჯეტის სახსრებით, (პროგრამა 070612) ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრი“–ს მიერ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ვაშლოვანში ლოჯისტიკური ცენტრის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების (CPV 71320000 – საინჟინრო-საპროექტო მომსახურება) (შემდგომში – „მომსახურება“) შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი №1–ის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება შეადგენს 900,00 (ცხრაასი) ლარს.

2.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებული მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, რომლის გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

3. მომსახურების ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

4. მომსახურების მიწოდების პირობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურება მიაწოდოს შემსყიდველს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2. შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება–ჩაბარებას ახორციელებს ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრი“–ს ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და პროგრამების/ქვეპროგრამების მართვის სამსახურის უფროსი ირაკლი ჯაფარიძე.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1 მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

6.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან, მიმწოდებლის მიერ მომსახურების მიწოდებასა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, ასევე შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:

ა) შეამოწმოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდებული მომსახურების ხარისხის შესაბამისობა

ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
ა) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღება.
7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) სახართჯთაღრიცხო დოკუმენტაციაში ცვლილებების ან/და სახარჯთღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი სამუშაოებისა და საქონლის განფასების აუცილებლობლობის შემთხვევაში შემსყიდველის მიმართვიდან 10 კალენდარული დღის ვადაში, მოამზადებს და შემსყიდველს მიაწოდებს შესაბამის დოკუმენტაციას (ცვლილება სახარჯთაღიცხვო დოკუმენტაციაში, გაუთვალისწინებელი სამუშაოსა და საქონლის ღირებულება).
ბ) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს თავის ვალდებულებებს, ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში, შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.
8.2. მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადების დარღვევის, ასევე წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
8.3. იმ შემთხვევაში, თუვადების გადაცილებით გადახდილი (ანგადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება ვადამდე.
8.4.მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, პირგასამტეხლოს თანხა გამოქვითოს მოწოდებული საქონლის ასანაზღაურებელი თანხიდან.
8.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმოთ.
10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

13.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ტექნიკური კონტროლი.

13.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.

13.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრი“	შპს „ინჟინერი“
მის. გოგებაშვილის ქ. №46ა	მის: ქ.ბათუმი, რურუას ქ N16
	სს ,,ვითიბი ბანკი''
ს/კ 445399391	ბანკის კოდი UGEBGE22
	ა/ა GE35VT5500000010243602
დირექტორი	ს/ კ 247 861 657
	დირექტორი
გოჩა ბერიძე	ბადრი ცივაძე

დანართი N1

ფასების ცხრილი

№	CPV კოდი და დასახელება	მომსახურების დასახელება	ეგზემპლარების რაოდენობა	საერთო ღირებულება
1	CPV კოდი 71320000 – საინჟინრო-საპროექტო მომსახურება	ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრი"–სთვის ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ვაშლოვანში ლოჯისტიკური ცენტრის საყრდენი კედლის მოწყობის სამუშაოების საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება	3	900,00
ჯამი			ლარი	**900,00**

ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი"

დირექტორი

გოჩა ბერიძე

შპს „ინჟინერი"

დირექტორი

ბადრი ცივაძე